# საინჟინრო დასკვნა

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №69 შ.პ.ს. “ქართუ უნივერსალის” საწარმოო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული შენობის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით

საპროექტო ობიექტი განთავსებულია შ.პ.ს. “ქართუ უნივერსალის” საწარმოო კომპლექსის ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №69. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.22.002.002.

სარეკონსტრუქციო ერთსართულიანი შენობა გეგმაში ტრაპეციის მაგვარი ფორმისაა, რომლის გვერდების სიგრძეებია შენობის შიდა მხრიდან 24.90; 42.10; 44.52; 37.73 მეტრი. სართულის სიმაღლე გადახურვის ფილამდე 3.9 მ-ა. შენობა კარკასულია ღერძული ბადით 12.0X6.0 მეტრი – ლითონის სვეტები დიამეტრით 420 მმ, რიგელები ორი 340 მმ სიმაღლის შველერებისაგან შეკრული. გარე შემომზღუდავი 400 მმ სისქის კედლები შესრულებულია ბეტონის ბლოკებისგან ზომებით 400X200X200 (მმ), რომლითაც შევსებულია შენობის პერიმეტრზე განლაგებული რ/ბ კარკასი ბიჯით 6.0 მეტრი. შენობა ნაწილობრივ გადახურულია ღრუტანიანი ფილებით.

შენობის სვეტებს აქვთ რკინა-ბეტონის წერტილოვანი საძირკვლები, ხოლო კონტურზე არსებულ მზიდ კედლებსა და სვეტებს – ლენტური. საძირკვლები ეფუძნება თიხოვან გრუნტს.

კონსტრუქციები, რომლებიც დღეისთვის დამონტაჟებულია, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მათი გამოყენება საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული შენობისთვის შესაძლებელია, მაგრამ ახალი რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება მათი გადაანგარიშება.

კონსტრუქტორი: ო. ქვრივიშვილი